საქართველოს ბუბები

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ორგანო.

რედაქტორი: სპ. კედია. წელიწადი მესამე. № 5 მაისი, 1934 წ.

La Sentinelle de Géorgie

ORGANE DU PARTI NATIONALDEMOCRATE GEORGIEN

Drecteur: Sp. KEDIA. 3e ANNEE. MAI 1934. PARIS

26 მაისი გარეგნულად და ნამდვილი

მაისი ერთი იშვიათი თვეთაგანია საქართველოს ისტორიაში; თვე უცხოთა უღლიდან თავის დაღწევის, თვე საქართველოს საერთაშორისო პიროვნების სრული აღდგენისა.

ქართული სუვერენობა ქართველთა მოდგმის თუ არა მთელ ისტორიულ მიწა-წყალზე, მის სამ მეოთხედზე მაინც — აი რა არის, ობიეკტიურად აღებული, 1918 წლის 26 მაისი.

ამგვარ მოვლენაზე უდიდესი მოვლენა ერის ცხოვრებაში სხვა არაფერია. კერძოდ საქართველოს ისტორია უფრო ბრძოლას წარმოადგენს ამ მიზნის მისაღწევად, ვიდრე ამ მიღწეული მიზნის განმტკიცებულ სინამდვილეს, მის ფრთა-გაშლილ თავისუფალ შემოქმედობას. ეს განსაკუთრებული, წმინდა ქართული გარემოება სუბიეკტიურად დაუსრულებლივ ამრავალკეცებს ამ მოვლენის თავისთაურ სიდიადეს.

ასეთია მაისის თვე ობიეკტიურად ისტორიის კუთვნილობაში განივთიერებული. მომავალი თაობები თავიანთი აივნების სიმაღლიდან მას დააფასებენ, როგორც ეროვნული სულის კიდევ ერთი ბრწყინვალე გამარჯვების თვეს....

მაგრამ ჩვენ! ჩვენ ვინც პატრიოტულ სირცხვილში ვიწოდით, როცა მომენტის ბატონი თაობა უარყოფდა საქართველოს თავისუფლებას და ებრძოდა მის დამყარებას მაისამდეც და მაისის თვეშიაც თვით 26 რიცხვამდე; ჩვენ, ვინც საკუთარი თვალით ვიხილეთ საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ აშვერილი თითი, თითი იმ ადამიანისა, რომელიც 26 მაისის მეორე დღეს, ვაი სირცხვილო, საქართველოს წინამძღოლად (!) გამოგვეცხადა; ჩვენ, ვინც მოწამენი ვიყავით, თუ როგორ გვარცხვენდა უცხო ქვეყანა, რომ დადგმულ რუსის უღელს კისერზე საკუთარის ხელით ვიმაგრებდით და გვაძალებდა დამოუკიდებლობის გამოცხადებას; ჩვენ, ვინც მოვისმინეთ საქვეყნო სირცხვილის აკტი, რომელსაც „საქართველოს დამოუკიდებლობის აკტი“ ჰქვიან; ჩვენ, ვისაც სამშობლო მართალის გულით გვიყვარს და მის თავისუფლებას ცხოვრების იდეალად ვისახავთ, — ჩვენ ვყვირით, რაც ძალი და ღონე გვაქვს, საუკუნეთა გადაღმა, მომავალ თაობათა გასაგონად: - „თქვენ სცდებით დაფასებაში!“

ეს მაისი არ არის საქართველოს საშოდან გამოსული, მისი ეროვნული ცნობიერების მიღწევა, მისი ნებისყოფის შედეგი, ან მისი ბრძოლის ნაყოფი. ის გარედან მოვიდა, როგორც იძულება; შემოიჭრა, როგორც მტერი და დაიჭირა ეროვნული შეგნების დაცალიერებული ბინები! ჩვენ პირიქით, ვებრძოდით მას, ვებრძოდით ყოველნაირად: კალმით, სიტყვით, გაფიცვით, კერძოდ, ორგანიზაციულად, თოფით, უთოფოდ... მაგრამ დავმარცხდით. ჩვენ დაპყრობილები ვიყავით და არა გამარჯვებულები. ჩვენ გვრცხვენიან ამ სიმართლისა თქვენს წინაშე და ვიტანჯებით. ეს ჩვენი ტრაღედიაა.

ამ მაისმა მხოლოდ ორჯელ იმაისა და მესამე წელს თებერვალი გაგვითენა, შავი კატასტროფის თვე, რომელშიაც ჩაინთქა დამოუკიდებლობის დიდი მოჩვენება...

დღეს საქართველო კვლავ მტრის ხელშია, მაგრამ არა ძაბუნად, არამედ ვაჟკაცურად. დღეს ის სხვაა, ვიდრე იმ მაისში იყო. დღეს მას ეროვნული ღმერთი სწამს და იბრძვის მისი მაღალი შთაგონებით...

1918 წლის სირცხვილით დატვირთული თაობა იმედს ისახავს, რომ იგი თავის თვალით იხილავს ქართველი ერის მიერ შეგნებული ნებისყოფით, ბრძოლითა და თავგანწირვით მტრის ხელთაგან გამოგლეჯილს თავისუფლების წმიდა დროშას... ეს იქნება ჩვენი რევანში 1918 წლის მდგომარეობის ბატონ ხალხზე, საქართველოს უკვდავი იდეის ნამდვილი ზეიმი! და მომავალი თაობანი არ მოსტყუვდებიან, თუ ამ ფაკტში ამოიკითხავენ ქართული სულის მანდვილ გამარჯვებას.

ეროვნული ერთობისაკენ

ემიგრანტობის მეცამეტე წლის თავზე ჩვენშორის ერთობა ჯერ კიდევ განხორციელებული არ არის. რაც პირველ დღიდან უნდა არსებულიყო, როგორც ეროვნული ბრძოლის რეალური საფუძველი, ის ჯერ კიდევ საოცნებო საგანია. რად არის ასე? ხომ ყველანი ერთმა მიზეზმა გადმოგვყარა სამშობლოდან, ხომ ყველას ერთი და იგივე მიზანი გვაქვს, ერთი სურვილი და ოცნება გვასულდგმულებს? მაშ რად არის რომ დღემდე თავი ერთად ვერ მოგვიყრია ამ საყოველთაო მიზნის გარშემო, რომ საერთო მტრის პირისპირ დღემდე ვერ გამოვსულვართ, როგორც ერთი მებრძოლი ორგანიზმი, ერთი მეთაურობის მიმყოლი და მისი ნებისყოფის ამსრულებელი? ან რა საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ხვალ ერთბაშად ხორცს შეისხამს ის, რაც დღემდე მიუღწეველი იყო? და თუ არც ხვალაა მოსალოდნელი ქართველთა საყოველთაო გაერთიანება — ეს თავი და თავი პირობა საბოლოო მიზნის მიღწევისა — მაშ უამისოდ რა უნდა ვქნათ, ან ვინ როგორ უნდა მოიქცეს? მაინც და მაინც მტერს ხომ უნდა მტრობა გავუწიოთ და სამშობლოს სამსახური?..

***

ცამეტი წელიწადი არ არი მოკლე მანძილი, განსაკუთრებით თუ ეს დიდ საქვეყნო უბედურებათა შორის მიმდინარეობს. მართალი უნდა ითქვას, ამ წლებს უქმად არ ჩაუვლია. ბევრი რამ ვნახეთ და გამოვიარეთ კერძო-კერძოდ, როგორც პიროვნებებმა და კოლეკტიურადაც, როგორც ერმა. ბევრი რამ ახალი ვისწავლეთ და ზოგი რამ ძველიც დავივიწყეთ. მაგრამ რაც უმთავრესია, იმას მაინც ვერ მივაღწიეთ. ემიგრაციის დაქსაქსულობა გრძელდება გარეშე და წინააღმდეგ ყოველგვარი ეროვნული ინტერესისა და მოთხოვნილებისა. ერთობა, პირველ დღიდან ამოცანად გადმოცემული, ამოცანადვე რჩება დღესაც. ამ ამოცანის წინაშე უძლური აღმოჩნდა მძიმედ დატვირთული ცამეტი წლის ემიგრანტ. ცხოვრება; მასთან აგრეთვე ვერაფერს გახდა ის მიზანიც, რომელიც უთუოდ ყველას ერთი გვაქვს, ვერც იმის შეგნება, რომ საერთო მტერს საერთო ძალით უნდა შეტევა.

ეს იმას ამტკიცებს, რომ ამ ერთობის საკითხი არა ძევს კერძო პიროვნებათა აწმყო ნება-სურვილის სამყაროში, თორემ ის დღემდე დადებითად გადაიჭრებოდა. ჩვენ საქმე გვაქვს კოლეკტიურ პროცესთან, რომლის მიმდინარეობას საზღვრავს და განაგებს ორი ობიეკტიური მოპირდაპირე ძალის ურთიერთობა. ენერგიულ ჩარევასთან ერთად საჭიროა დრო და მოთმინება, რომ ამ პროცესში საბოლოოდ იმ ძალამ გაიმარჯვოს, რომელსაც თან მოაქვს სრული ეროვნული ერთობის განმახორციელებელი ნებისყოფა.

***

ეს პროცესი ის დიდი ბრძოლაა, რომელიც სწარმოებს საქართველოს წიაღსა შინა ეროვნულ და ანტიეროვნულ დასაბამთა შორის, ქართულ ნაციონალიზმსა და მარქსიზმ შორის, ამ უკანასკნელი ორმოცი წლის სიგრძეზე. მარქსიზმი ამ ბრძოლაში მარტო არ იყო. მას მოკავშირე ჰყავდა ყველა ანტიქართული ძალები რუსეთის იმპერიისა: რუსული და არა-რუსული. ამ ბრძოლაში კოალიცია პირველთაგან ძლიერ მხარეს წარმოადგენდა და მისი პროგრამაც — საქართველოს გაჩანაგება — ცხოვრებაში სისწრაფით ტარდებოდა. კოალიციის სწრაფი გაძლიერება დაიწყო 1917 წელს და თავის უმაღლეს წერტილს საქართველოს დამოუკიდებლობის წლებში მიაღწია — მარქსიზმი მაშინ თვითმპყრობელურად დაეუფლა ქართველ ხალხს და ქართულ სახელმწიფოს.

***

1921 წელს, საქართველოს დამოუკიდებლობის დაღუპვასთან ერთად დაიწყო შებრუნებული პროცესი: მენშევიზმ-მარქსიზმის შეუჩერებელი დეკადანსი და ქართული ნაციონალიზმის პროგრესიული აღმატება. ეროვნული შეგნება, ინტერესი და ნებისყოფა დაეპატრონა ქართველის პსიხოლოგიას. დამარცხებული მენშევიზმ-მარქსიზმი პოზიციას პოზიციაზე სთმობს, მაგრამ მხოლოდ მწარე ბრძოლებისა და დიდი ზარალის მოყენების შემდეგ. მენშევიკური მეთაურობა, რომელიც ქართველ ხალხს მექანიკურად შერჩა, ოკუპანტების წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში, არც თავის ანტიეროვნულ ბუნებას გამოსთხოვებია და არც თავისი გეგემონიის შენარჩუნების განზრახვებს. მთელი ამ წლების განმავლობაერის მიმდინარე ბრძოლა მენშევიკურ ბრძოლად გაესაღებინა, ისე როგორც ბოლშევიკები ქართველი ერის წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლას ეძახდნენ ბრძოლას მენშევიკების წინააღმდეგ. შეპყრობილი მარქსიზმის დოგმებით, ეს მეთაურობა თავის არსებაში დღესაც ძველ მძულვარებას ატარებს ეროვნული იდეოლოგიის მიმართ და საშუალების განურჩევლად ებრძვის როგორც მის გაბატონებას, ისე ნამდვილი ეროვნული მეთაურობის ჩასახვას. გაჩენილი ერის საფუძვლების ასაყრელად და ერთმანეთში შურის და მტრობის დასათესად, იგი ბრწყინვალედ ასრულებს თავის დანიშნულებას. მას ერის ფარგლებში, ზავი და მთლიანობა კი არ უნდა, არამედ დაშლა და ბატონობა. ამიტომ გასაგებია, რომ ქართულ ნაციონალიზმსა და მარქსიზმ შორის სიკვდილ-სიცოცხლის ბრძოლა მიმდინარეობს. ეს ბრძოლა, ერის სხეულში აღძრული, თავის ლოღიკურ დასკვნამდე უნდა მივიდეს. და ეს მით უმეტეს, რომ თვით განწირული და მომაკვდავი მებრძოლი მხარე ჯიუტობს, იარაღს ხელიდან არ უშვებს, გამარჯვებულ მოპირდაპირეს ცოცხლად არ ნებდება და უიმედო ბრძოლას განაგრძობს. უნდა რომ უკანასკნელ სულის დაღაფვამდე, თავის მიზანს ემსახურებოდეს. აქედან წარმოსდგება ორგანიული შეუძლებლობა სრული ეროვნული ერთობის მიღწევისა დღევანდელს პერიოდში. ამგვარად, მარქსიზმი და მარქსისტული მეთაურობა, ქართული ნაციონალიზმის ზღვით გარშემორტყმული, ხელს უშლის, რამდენადაც იგი ჯერ კიდევ დაუმარხავი მიცვალებულია, საერთოდ ქართველობისა და კერძოდ ემიგრაციის ეროვნულ სიმთელეს. მაგრამ მიცვალებული ერთ დღეს მიწას მიებარება; ამით დასრულდება გრძელი და დრამატიული ბრძოლა ქართულ და ანტიქართულ ძალთა შორის. ქართველობის სულიერ სამყაროს მაშინ მთლიანად დაეპატრონება ქართული ტრადიციული ნაციონალიზმი და მისი საღი შემომქმედი ბუნება. დაიწყება ახალი ეპოქა. მთელი ერი როგორც ერთი კაცი დაირაზმება მოვლენილი ღირსეული მათაურის ქვეშ. საქართველოს გამარჯვების სუბიეკტიური მასალა ამგვარად სავსებით უზრუნველყოფილ გვექნება.

***

მაგრამ მანამდე? მანამდე კი და თვით ამ მომენტის მოსაახლოებლად საჭიროა ეხლავე მოგვარება და გამაგრება ყველა იმ პოზიციისა, რომელიც ამ ჩვიდმეტი წლის სულ გამარჯვებათა პოლიტიკური აღნუსბრძოლის განმავლობაში, ნაციონალიზმის ხელში გადმოვიდა. აუცილებელია ამ წარხვა, მათი სისტემატიზაცია და თავმოყრა, მათი ღირებულების ეროვნული განვითარება. თორემ უქმად გდებისაგან ხუნდება მნიშვნელობა ამ აუარებელ სხვერპლის ფასად მოპოებულ გამარჯვებათა და უმიზნო ხდება მათთვის ბრძოლა და სხვერპლის გაღება! ხოლო ამ საქმეში პირველი და უკანასკნელი სიტყვა იმათ ეკუთვნის, ვინც საქართველოს ისტორიის დღევანდელ ნაწყვეტზე მთლიანად ქართული ნაციონალიზმის რჯულს შეუდგა, ვინც ეროვნულ ინტერესის უპირველესობა იწამა და შეითვისა. ასეთები კი დღეს ბევრნი არიან, ერთობ ბევრნი, როგორც ორგანიზაციებში, ისე მათ გარეშე. მაშ რატომ საქმეს არ იწყებენ და რას უცდიან ეს პატრიოტული წრეები, პარტიული თუ უპარტიონი?

რატომ ვერ ახერხებენ გაერთიანებას, ერთი დიდი ეროვნული მოძრაობის წამოწყებას, ერთი მეთაურობის შექმნას? რა უშლის ხელს იმათ მაინც, ვისთვის ეროვნული მომენტი უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე პოლიტიკური, ან სოციალური? რა ანგარიშებია ის ანგარიშები, დღემდე რომ ამის განხორციელებას აფერხებს?

არაფერი ამართლებს ამ პატრიოტულ ძალთა დანაწილება სხვა და სხვა განცალკევებულ ორგანიზაციაში; მათ დაყოფვას ჯერ ამდენ პარტიებად და მერე, თვით პარტიის

ფარგალში, ამდენ ცალცალკე ჯგუფებად და ქვე-ჯგუფებად და დაბოლოს ამ პატარ-პატარა გუნდების მიერ ერთმანეთის დაუნ-დობელ წიწკნასა და დამცირებას. ვინ რა ჟინს იკმაყოფილებს ამით? ვინ რა სიამოვ-ნებას, ან სარგებლობას ხედავს ამაში? ნუ თუ ვერ ვატყობთ, თუ ეს რა საშინელი სენია შემოპარული ჩვენ სხეულში? ნუ თუ ვერა ვგრძნობთ, რომ ამ გზას მივყევართ სრული მორალური დაშლისაკენ, პოლიტიკური არადქცევისაკენ, ეროვნული სიკვდილი-საკენ?! ხომ არავის შეუძლიან სინიდისის ქვეშ ამ მოვლენის საჯარო დაცვა და მოწო-ნება. ხომ არ არსებობს არც ერთი არგუმენ-ტი რიგიანი გრძნობისა და ამაღლებული გო-ნების რომ ეს „რეჟიმი“ გაამართლოს? მაშ რად არ ვამხელთ აჯაროდ, რად არ ვებრძ-ვით მას? მაშ, რად ვმფარველობთ კერძო-კერძოდ და სიჩუმეში ამ დუხჭირ-ყოფას? შეუძლებელია, რომ ემიგრაცია ასე გადაუ-დგეს სინიდისის ხმას და საღი გონების რჩე-ვას. შეუძლებელია, რომ იგი ასე არალეგა-ლურად და ნამალავად სცხოვრობდეს იმ ეროვნულ მოვალეობათაგან, რომელიც მას გარემოებამ დააკისრა.!

პატრიოტულ, ეროვნულ ემიგრაციას და არც ერთ მის შეგნებულ წევრს დღეს პარ-ტიულ-პოლიტიკური ამოცანები არ უდგა გადასაჭრელად, არამედ ერთი დიდი ეროვ-ნული პრობლემა — საქართველოს თავისუ-ფლების საკითხი.

პარტიულ კოლოფებში ჯდომა და იქ თა-ვის ჩამარილება კი არ არის საქმე და ჩვენი დროის მოთხოვნილება, არამედ ერთი დიდი ეროვნული მოძრაობის წარმოშობა, შიგ მთელი ხალხის ჩაყენება და ამისათვის ღირ-სეული კადრისა და მეთაურობის შექმნა — აი ამოცანა! აი ჩვენი მოვალეობა ქვეყნისა და ისტორიის წინაშე.

***

შევურიგდეთ იმას, რომ ამ საქმეს ჩვენებრ არ იწამებს და მას ჩვენებრ მართალის გუ-ლით არ მიჰყვება მარქსიზმის დოგმით შე-ბოჭვილი ქართველი, ეს ჩვენი დროის უძ-ღები შვილი. მაგრამ პატრიოტები, ნაციო-ნალიტები და საერთოდ ყველა სამშობლოს კულტის აღმსარებელი ქართველი დღეს ერთად უნდა იყოს თავმოყრილი, ერთ ეროვ-ნულ ორგანიზაციაში, ერთი მეთაურობის ქვეშ. ეს იქნება დიდი ისტორიული მნიშვ-ნელობის ნაბიჯი, ორგანიზაციული და-სკვნა ქართული ნაციონალიზმის უკანასკ-ნელი წლების გამარჯვებათა, — პირველი ეტაპი სრული ეროვნული ერთობისაკენ.

***

მაშ, შევუდგეთ ამ საქმეს — დრო აღარ ითმენს — და გავხდეთ ღირსნი სამშობლოს ყურადღებისა!

სპ. კედია

თომა მასარიკი

ჩეხოსლოვაკიის სენატმა და პარლამენტ-მა 24 მაისს ჩეხოსლოვაკიის პრეზიდანტად მეოთხეჯერ თომა მასარიკი აირჩია, დღეს უკვე 84 წლის მოხუცი სახელმწიფო კაცი. ჩეხოსლოვაკიის კონსტიტუცია მხოლოდ ორჯელ იძლევა ერთი და იგივე ადამიანის პრეზიდენტად არჩევის უფლებას, მაგრამ გამონაკლისით იგი ამ შეზღუდვას უარ-ჰყოფს სახელდობრ თომა მასარიკისათვის. რით არის გამოწვეული ასეთი განსაკუთრე-ბული პატივი და თაყვანისცემა მთელი ერი-სა ამ ადამიანის მიმართ.?

ამის ახსნა შემდეგ გარემოებაშია: თომა მასარიკი „სამშობლოს განმათავისუფლებე-ლია“; იგი ეროვნული თავისუფლების მო-ციქული, მისი შემქნელი და განმამტკიცე-ბელი პიროვნებაა. დედით ჩეხი, მამით სლო-ვაკი, თომა მასარიკი ორმაგ შეურაცყოფი-ლად გრძნობდა თავის ეროვნულ ღირსებას ჰაბსბურგთა ბატონობისაგან და მას ჯერ კიდევ ომამდე ბრძოლა გაშოუცხადა. და-იწყო, თუ არა ომი, მასარიკმა გარკვეული პოზიცია დაიჭირა: სამშობლოს განთავისუ-ფლება მან საფრანგეთისა და მის მოკავში-რეთა იარაღის ბედზე გადაბა და შეუდგა თავის ერის განთავისუფლების წმიდა მა-ღალ საქმეს. გაუტეხელი სიმხნითა და შე-ურყეველის რწმენით იგი აწყობდა, რაზმა-ვდა და ამოძღვრებდა თავის თანამემამულე-ებს. შეაჯგუფა ყოველგან უცხოეთში გად-მოხიზნული ჩეხები და სლოვაკები და შეა-ყენა სამშობლოს თავისუფლებისათვის მე-ბრძოლი ლეგიონები. 1915 წელს ნოემბერ-ში, მან გამოსცა თავისი ცნობილი მანიფეს-ტი, სადაც ჩეხიის ხალხის მრწამსი იყო გა-მოთქმული. იგი იყო მეთაური და ხელმძღ-ვანელი იმ ჩეხოსლოვაკური ეროვნული სა-ბჭოსი, რომელიც პარიზში შესდგა 1916 წ. მთელი ომის განმავლობაში მასარიკი იყო ყოველი ჩეხისათვის სამშობლოს ღირსების და თავისუფლების ცოცხალი სიმბოლო. ამაყი და მუდამ თავისუფლების მაძიებელი ჩეხია მასარიკში ხედავდა თავის ნამდვილ ეროვნულ გმირს და მისი ყოველი ხსენება ხალხში საერთო აღფრთოვანებას იწვევდა.

ომი გათავდა. ავსტრო-უნგრეთი დაინგრა და მის ნანგრევებზე აღმოცენდა ჩეხოსლო-ვაკიის რესპუბლიკა 1918 წ. და მის პირველ პრეზიდენტად ჩეხოსლოვაკიის ეროვნულ-რევოლუციონურმა ყრილობამ თომა მასა-რიკი აირჩია. ორი წლის შემდეგ, როცა კო-ნსტიტუცია უკვე მიღებული იყო და ეროვ-ნული წარმომადგენლობა წესიერად არჩე-ული, მასარიკმა მოითხოვა ამ უკანასკნელი-საგან მისი პრეზიდენტობის დადასტურება. 1920 წ. მაისში იგი ხელმეორედ იქმნა არ-ჩეული, უკვე შვიდი წლის ვადით, თანა-ხმად კონსტიტუციისა. იგივე განმეორდა მესამეჯერ 1927 წ. და მეოთხეჯერ ამა თვის 24-ს.

მასარიკს სწამდა სამშობლო, იბრძოდა მისი თავისუფლებისათვის, მიზანს კიდევაც მიაღწია. უკვე თექვსმეტი წელიწადია, რაც იგი იშვიათი გამჭრიახობითა და სიბრძნით მოუძღვის, დიდ საერთაშორისო გართულე-ბათა შორის, ჩეხოსლოვაკიას. მან ღირსე-ულად დაიმსახურა სამშობლოს მადლობა და სიყვარული.

მაგრამ და აქ ძალაუნებურად გაგონდება ჩვენი სამშობლოს უბედური ბედი! რამდენ-ნი პარალელიზმია, მაგრამ რამდენი კონტ-რასტიც საქართველოსა და ჩეხოსლოვაკიას შორის! 1918 წ. რუსეთის ნანგრევებზე აღორძინდა საქართველოს დამოუკიდებლო-ბაც, ისე როგორც აღორძინდა ჩეხოსლოვა-კიის დამოუკიდებლობა ავსტროუნგრეთის ნანგრევებზე. მაგრამ საქართველოს მასარი-კი არა ჰყოლია!

ნოე ჟორდანიას არა სწამდა ის, რაც სწამ-და მასარიკს, ე. ი. თავისი სამშობლო. მას არ უბრძვია საქართველოს თავისუფლების დასამყარებლად , როგორც იბრძოდა მასა-რიკი ჩეხოსლოვაკიის თავისუფლებისათვის. ჟორდანია ებრძოდა საქართველოს დამოუ-კიდებლობას, რაც არასოდეს არ უქნია მა-სარიკს თავისი ქვეყნის მიმართ. ჟორდანია იცავდა რუსეთის მთლიანობას და იბრძოდა მისთვის როგორც პირადათ, ისე მთელი მი-სი შტაბით, როგორც რუსეთში, ისე უცხო-ეთში; მასარიკი კი ებრძოდა ავსტროუნგ-რეთს და მის მთლიანობას როგორც შიგნით ისე გარედ. ჟორდანია რუსეთს ერთგულე-ბას ეფიცებოდა, მასარიკი კი ავსტრო უნ-გრეთს ჰანიბალის ფიცს უმეორებდა! ჟორ-დანია სამშობლოს ეროვნული გმირი კი არ იყო, როგორც მასარიკი, არამედ მისი უძ-ღები შვილი და გამოტირებული რენეგატი!

ჟორდანიამ საქართველოს დამოუკიდებ-ლობა ძალის-ძალად ჩაიბარა, მასარიკმა — ჩეხოსლოვაკიის დამოუკიდებლობა ბრძო-ლით აიღო. აშკარაა, ჟორდანია მას ვერ ულოლიავებდა, ვერ გაუფრთხილდებოდა და ვერ დაიცავდა ისე, როგორც მასარიკმა მოუარა და დაიცვა თავის სამშობლოს და-მოუკიდებლობა.

რაც ადამიანს თავის არსებაში თვითონ არ მოუმშობიარებია, რაც გრძნობით არ უგრძვნია და გონებით არ უცვნია, ის მუდ-მივ გერია მისთვის. საქართველო იყო ჟო-რდანიასთვის უცხო და ჟორდანია — საქა-რთველოსათვის. ჟორდანიას საქართველო უნდა დაეღუპა და დაღუპა კიდეც.

სად მასარიკი ჩეხოსლოვაკიისათვის და სად ჟორდანია საქართველოსათვის!

გ — ნი

ბ-ნ ნ. ჟორდანიას საყურადღებოდ

ამ წლის თებერვლის 18-ს, ქართული ასო-ციაციის თაოსნობით, 1, ბულვარ ედგარ კი-ნე-ზე, შესდგა ყველა პოლიტიკური და ზო-გი არა პოლიტიკური დაჯგუფების წარმო-მადგენელთა საგანგებო კრება*)

ამ კრებას უნდა გამოერკვია, თუ რა ზომები უნდა ყოფილიყო მიღებული, რომ წესიე-რად ჩატარებულიყო ასოციაციის ის სხდო-მა, სადაც წაკითხული იქნებოდა ე. წ. „გა-მყრელიძის წერილის“ გამო დაარსებული კომისიის მოხსენება.

ამ კრებაზე, აზრთა გაცვლა-გამოცვლის დროს, ერთმა დამსწრეთაგანმა, სახელდობრ ბ-ნ დავით ვაჩნაძემ, ასოციაციის თავჯდო-მარის ამხანაგმა და დასახელებული კომისი ის წევრმა, განაცხადა: გამყრელიძის წერი-ლის ნამდვილი ავტორი ბ-ნი ნ. ჟორდანიაა და გამყრელიძე კი მხოლოდ იარაღია მის ხელშიო და სხ. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ ბრალდებას ის გდებდათ თქვენ, ბ-ნ ნ. ჟორდანას, სრულიად შეგნებულად.

ბ-ნი დ. ვაჩნაძე ჩვენს ცხოვრებაში ცნო-ბილია, როგორც პოლიტიკური მოღვაწე და მას თვალსაჩინო მდგომარეობა უჭირავს. ამავე დროს ის აკტიური თანამშრომელია იმ ე. წ. „გაერთიანებული ფრონტისა“, რო-მელსაც თქვენ აძლევთ პოლიტიკურ შინა-არსსა და მიმართულებას. რასაკვირველია, ბ-ნ დ. ვაჩნაძეს კარგად ესმის წამოყენებუ-ლი ბრალდების სიმძიმე და ის პასუხისმგე-ბლობა, რომელიც ამას თანა სდევს. ამავე დროს თქვენ ბრძანდებით საქართველოს ყო-ფილი მთავრობის თავმჯდომარე და გამყ-რელიძე კიდევ ის პიროვნებაა, რომელიც ხსენებული კომისიის მიერ მიჩნეულია ბო-ლშევიკების ჯაშუშად; ხოლო ე. წ. „გამყ-რელიძის წერილი“, ეს სიყალბეთა და ცი-ლისწამებათა ქსელი, ის წყაროა, რომელ-მაც მოსწამლა უკანასკნელი ხანის ჩვენი სა-ზოგადოებრივი ატმოსფერა და ერთმანეთს გადაჰკიდა ემიგრაციის სხვა და სხვა წრეები და ჯგუფები.

თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ ამ გა-მყრელიძის პროვოკაციამ საზოგადოებაში დიდი აღშფოთება გამოიწვია და რომ სი-მართლის გამოძიებას ხელი მოჰკიდა თვით კოლონიამ; არც ის არის თქვენთვის დაფა-რული, რომ ეს პროვოკაცია მთლიანად მი-მართულია იმ პოლიტიკური ორგანიზაცი-ის წინააღმდეგ, რომელიც ებრძვის თქვენს პოლიტიკას და რომელსაც სპ. კედია მეთა-ურობს. ამდენი სპეციფიური გარემოების გამო, ამ პროვოკაციას მიეცა სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა მთელი ემიგრაციის თვალში. ყველა უაღრესად და-ინტერესებულია სიმართლის ცოდნით, ნე-იტრალური საზოგადოება ისევე, როგორც თვით დაზარალებული მხარე. ამიტომ ყო-ველი მოვლენა, რომელიც ამ პროვოკაცი-ას ეხება და ხელს უწყობს იმის გამორკვე-ვას, თუ ვის რა ხელი მიუძღვის მის შემზა-დებაში, საზოგადოებაში დიდ გამოხმაურე-ბას იწვევს. ამ პირობებში სრულიად გაუ-გებარია, თუ როგორ მოხდა ის, რომ ბ-ნ დ. ვაჩნაძის განცხადებამ, რომელიც დიდ მი-თქმა-მოთქმას იწვევს, თქვენის მხრიდან დღემდის არ მიიღო ჯეროვანი პასუხი.

ჩვენ დაგვრჩენია ვიფიქროთ, რომ ამ გა-ნცხადებას თქვენამდე არ მოუღწევია და ეს მიუხედავად იმისა, რომ ამის მოწმე იყო რა-მოდენიმე პასუხისმგებელი წევრი სწორედ იმ ორგანიზაციებისა, რომელთაც თქვენ თავმჯდომარეობთ.

თუ ეს ასეა, ჩვენ ვასრულებთ მათგან და-ვიწყებულ მოვალეობას და გატყობინებთ საქმის ვითარებას. ბ-ნი დ. ვაჩნაძის განცხა-დების ყრუდ ჩატარება თქვენთვის შეუძლე-ბელი საქმეა.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამის შემდეგ და თუ ეს შესაძლებელია, თქვენ მიიღებთ სათანა-დო ზომებს, რომ გაჰფანტოთ ყოველივე ეჭ-თქვენსა და გამყრელიძის შორის რაიმე კა-ვი თქვენსა და გმყრელიძის შორის რაიმე კავშირის შესახებ.

საქართველოს გუშაგი

*) 18-1-34. კრებას დაესწრენ: (ოქმიდან) ბბ.: რ. არსენიძე, გ. კერესელიძე, შ. ამირა-ჯიბი, ფ. წულუკიძ, ვიკ. ცხაკაია, დ. ვაჩნა-ძე, ი. გობეჩია, ფ. შარაძე, ს. მენაღარაშვი-ლი, გ. გვაზავა, ვ. წულაძე, გრ. ცხაკაია, შ. აბდუშელი, ვ. ნოზაძე და ა. სულხანიშვილი

ბ-ნ სპ. კედიას მოხსენებაზე

ამა თვის ცამეტს „ალიანს ფრანსეზის“ დარბაზში ბ-ნმა სპირიდონ კედიამ საჯარო მოხსენება გააკეთა შემდეგ თემაზე: — ;ქა-რთული ნაციონალიზმის სადღეისო პროგ-რამა“.

ჩვენი გაზეთის რედაკტორს და მის პო-ლიტიკურ პოზიციას ქართველი საზოგადო-ება კარგად იცნობს. მას არ სჩვევია კომპ-რომისები რწმენის ხარჯზე და ეროვნული იდეების დახურდავება. ეს თვისებები უყ-ვარს ემიგრაციის იდეურ ნაწილს და ამი-ტომ იგი და განსაკუთრებით კი მისი ახალ-გაზრდობა დიდი ინტერესით მოელოდა ამ მოხსენებას.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს მოხსენება მო-კლებული იყო ყოველგვარ ორატორულ მი-შველებას და გაიშალა წმინდა აკადემიურ ფორმაში. სჩანდა, რომ მომხსენებელის სუ-რვილი იყო ყოფილიყო სადა და ჩვეულებ-რივი მუსაიფის კილოზე გადმოეშალა ერ-ოვნულ-პოლიტიკური მნიშვნელობის მპიმე სიუჟეტი.

მომხსენებელმა დაიწყო იმით, რომ ხაზი გააკლო ქართულ და ევროპიულ ნაციონა-ლიზმს შორის და გაშალა პირველის თავი-სებურება საქართველოს ისტორიის მაგა-ლითებზე. მან აღნიშნა, რომ ქართული ნა-ციონალიზმის მიზანი დღესაც ის არის, რაც ისტორიულად მუდამ ყოფილა. მისი ძირი-თადი ელემენტები საუკუნიდან საუკუნეზე უცვლელად გადმოდიან, ხოლო მისი განა-ხორციელების მეთოდი იცვლება ეპოქის შინაური და საერთაშორისო მდგომარეობის მიხედვითო.

შიგნით საქ. ეროვნ. ერთობის განმტკი-ცება და გარედ მისი დამაგრება პანკავკასი-ურ სივრცეზე ერთი დიდი სახელმწიფოს შესაქმნელად, — აი ქართული ნაციონა-ლიზმის კლასიკური ფორმათ.

საქართველო მუდამ გრძნობდა, რომ მი-სი კულტურული და სახელმწიფოებრ. შე-მოქმედების მთელი პოტენციის გამოსაჩე-ნად, რომ მისი პიროვნების მთელი საერთა-შორისო მნიშვნელობის გამოსამჟღავნებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლად, საჭირო იყო , როგორც იარაღი, გაცილებით მეტი მატერიალური სიმძიმე, ვიდრე ამას მარტო ერთი საქართველოს მიწაწყალი და დემოგრაფია იძლეოდა, ამიტომაც საქართველო მუდამ კავკასიის ხელში დაჭერას ცდილობდაო. ამის ისტორიული დემონსტრაციისათვის ბ-ნმა მომხსენებელმა თავისი აუდიტორია შორეულ წარულში გადაიყვანა.

აშოტ კურატ პალატიდან დაწყებული, აქართველოს ეს პანკავკასიური მიდრეკილება უკვე მოქცეულია პრაკტიკულ საზრუნავ საგანთა რკალში, დავით აღმაშენებელის და თამარ მეფის საქართველო კი ამ იდეიის სრულ და ბრწყინვალე განხორციელებას წარმოადგენს. ამის შემდეგ კი იწყება საქართველოს პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი დეკადანსი, მსოფლიოს დასაპყრობად აღძრულ ხალხთა რიგ-რიგ თუ წყვილ-წყვილ შემოსევით გამოწვეული. ნაფლეთებად ქცეული საქართველო იბრძვის კუთხე - კუთხეხან ერთი მტრის წინააღმდეგ, ხან მეორის. მიუხედავად დიდი და თავდადებული მეფეებისა, რომელნიც მას ამ შავ ბნელ დროშიაც არ დაჰკლებიან, საქართველო თავის მიზანს მაინც ვერ აღწევს, ვერც თითონ გაერთიანდება და ვერც კავკასიას აერთიანებს. საქართველოს უკანასკნელი დიდი გვირგვინოსანი — მეფე ერეკლეც ვერაფერს გახდება. იგი რწმუნდება, რომ საკუთარის ძალით და ტრადიციული თამაშით სპარსეთ-ოსმალეთის სასწორზე, საქართველოს ისტორიული ნაციონალიზმის ამოცანებს ვერ გადასჭრიდა და რომ ამ გზით დიდ ქართულ ეპოქას ვერ შეჰქმნიდა. მეორეს მხრივ, მან დაინახა რუსული იმპერიალიზმის სპარსეთ-ოსმალეთთან ორგანიული დაპირისპირების შინაგანი აუცილებლობა და ქართული ნაციონალიზმის ძირითად მოთხოვნილებას — საქართველოს ისტორიული ტერიტორიის აღდგენა და თავ-მოყრა ამ რუსული იმპერიალიზმის ანტისპარსული და ანტიოსმალურ პოლიტიკას დაუკავშირა.

ამისთვის გვირგვინოსანმა თავის სუვერენულ პრეროგატივაც კი დასთმო.

მეფე ერეკლეს მოლოდინი არ გაუმართლდა, რუსეთმა საქართველო არ დაინდო და იგი ეროვნულად გაანადგურა.

დიდი ომის შედეგად რუსეთი დაინგრა, საქართველო კი მექანიკურად განთავისუფლდა და მას დაეპატრონა ანტი-ეროვნული ძალა, მენშევიკების სახით. მის ბელადად გახდა ის ადამიანი, რომელიც უკანასკნელ მომენტამდე საქართველოს დამოუკიდებლობას ებრძოდა. ამ ხელძღვანელების ხელში საქართველომ თავი ვერ შეინახა და რუსეთმა კვლავ დაიპყრო იგი. დღესაც ისე, როგორც ათას წელთა განმავლობაში, ქართული ნაციონალიზმის ამოცანები დღის წესრიგში დგანან და გადაჭრას მოითხოვენ. შესაქმნელია ქართული ერთობის სიმტკიცე, მოსაპოებელია საქართველოს თავისუფლება, ასაშენებელია ქართულ-კავკასიური სახელმწიფო როგორც საუკეთესო გარანტია ჩვენი და ჩვენი მეზობლების თავისუფლებისა, როგორც ვრცელი სარბიელი ქართული შემოქმედებისა.

ამის თანახმად მომხსენებელმა მოითხოვა ემიგრაციის ფარგლებშიაც ყველა დღეს დაქსაქსულ ქართულ პატრიოტულ ძალთა გაერთიანება და ენერგიული თაოსნობა პანკავკასიური ეროვნული მოძრაობის შესაქმნელად. დღეს არც დავით აღმაშენებელის დროის რესურსები გვაქვს და არც იმდროინდელი საერთაშორისო პირობებია ჩვენს გარშემო, რომ ქართულ-კავკასიური ურთიერთობის საკითხი დავით აღმაშენებელის მეთოდით გადაჭრას. დღეს ეს უნდა იყოს კავკასიის ხალხთა თავისუფალ ნების ყოფის აკტი და საქართველო პირველი თანასწორთა შორის.

აი მოკლედ ბ-ნ სპირიდონ კედიას მოხკენების შინაარსი.

კამათში მონაწილეობა მიიღეს: ბბ. შ. ამირაჯიბმა, ნ. ცინცაძემ, გ. კერესელიძემ, რ. გაბაშვილმა, ი. გობეჩიამ, ვ. ნოზაძემ, ი. მანწკავამ, ალ. მანველიშვილმა, გ. ჭაჭიაშვილმა, დ. ვაშაძემ, შ. კალანდაძემ და სხ.

ბოლშევიზმი ბურჟუაზიის ურემში

ბოლშევიზმი ძალიან მორჩილად შეება ბურჟუაზიის ურემს. ორი რამ, როგორც სინამდვილის სულთამხუთავი სიმძიმე ისე უნდა დასწოლოდა საბჭოთა კავშირს, რომ მას ეს ნაბიჯი გადაედგა.

ამ ორიდან, ერთი უნდა ყოფილიყო აბსოლუტური რწმენა იმისა, რომ მას იაპონია უსათუოდ ომს გამოუცხადებდა და მეორე ისა, რომ ამ ომში საბჭოთა კავშირი ასევე უსათუოდ დამარცხდებოდა. საბჭოთა კავშირი ორივეში აბსოლუტური დარწმუნებულია. ამ საბოლოო რწმენის მიღების მომენტიდან, მის წიმაშე დაისვა თვით ფიზიკური არსებობის საკითხი. და წარმოიშვა კონფლიკტი მის სეკტურ იდეალიზმსა და რეალიზმის კომპრომისულ მოთხოვნილებას შორის. ეს კონფლიკტი პირველის სრული დამარცხებით გათავდა და საბჭოთა კავშირი ეს ორი წელიწადია, რაც ამ რეალიზმის ლოლიკას ემსახურება. უნდა ითქვას, რომ სხვერპლი უმნიშვნულო არ არის. მოძრაობა და ისეთი, როგორიც ბოლშევიზმი და საბჭოთა კავშირია, განსაკუთრებულად დემაგოგიით სარგებლობს. მის უვიცსა და ხარბ კლიენტურას მარტო ტლანქი ტრაბახი და უაზრო მკვეხარობა იტაცებს და ათრობს. ეს მისი ნამდვილი ცხოვრების წყაროა. უამისოდ მისი ხანგრძლივი არსებობა შეუძლებელია. კომპრომისის პოლიტიკამ მას დაუკარგა ამ გემაგოგიის უფლება და მოხდა შედიდურების გვირგვინი. მეტიც. იგი ჩამოაბრძანა მისი ველური იდეალიზმის სიმაღლიდან და დედამიწაზე დაანარცხა. გაამდაბიურა. ბოლშევიზმმა არა მარტო უნდა იწამოს და გაიტოლოს ის, ვისაც თავის მოსისხარ მტრად სახავდა და ვისაც ცეცხლითა და მახვილით ემუქრებოდა, არამედ მას უნდა ქუდი მოუხადოს, რევერანსები გაუკეთოს, დაექირავოს, ემსახუროს კიდეც. ყოველივე ეს მძიმეა და ძალიან მძიმეც. ნურვინ იფიქრებს ეს ვოლტფასი ბოლშევიზმს არაფრად მიაჩნდეს, რომ სხვა დარგში უპრინციპო, უსირცხვილო და ამორალურ რეჟიმს ეს აბრუნდი სინიდისს არ უწუხებდეს!

ბოლშევიზმი ამით ჰკარგავს და ჰკარგავს შეგნებულად იმას, რაც მისთვის ყველაზე ძვირფასია. რაც მისი გაგებით მისი სინიდისია და მორალი. ეს არის თვითმკვლელობა საკუთარი ხელით, ეს მისი შერცხვენილი სიკვდილია... ამას ის კარგად გრძნობს, მაგრამ სული ტკბილია და თავის იდეურ სიკვდილს ურიგდება. ძალა აღმართის მხვნელია.

ამის ფასად ამ ორი წლის განმავლობაში ბოლშევიზმს თვალსაჩინო მიღწევანი ჰქოდა. ქვეყნად ბევრი გასაჭირია და ბევრი გაჭირვებული. ამიტომ ბოლშევიზმის გამოწვდილი ხელი თითქმის არავინ ითაკილა. იყვნენ ისეთებიც, ვინც ამ ხელებს თვითონ ძებნა დაუწყეს. ბოლშევიზმი ისეა შეშინებული და სრულიად სამართლიანად, რომ მისთვის ყველა ერთნაირად საყვარელია, როგორც დიდი ქვეყანა, ისე პატარაც, და ყველასთან ერთნაირ მლიქვნელობას იჩენს. ამ მიმართულებით აღსანიშნავია მისი შარშანდელი პაკტები ბალტიის ქვეყნებთან: პოლონეთთან, რუმინიასთან, ოსმალეთთან, იტალიასთან. მისი ურთიერთობის აღდგენა ამერიკის შეერთებულ შტატებთან და მისი პაკტი და საგანგებო დაახლოვება საფრანგეთთან.

დღეს თუ არა ხვალ ის გახდება თვით ხალხთა ლიგის წევრი და ამით დასრულ-

---

გაერთიანების წინადადებამ (გარდა ნ. ჟორდანიას წრისა) მიიღო საყოველთაო მოწონება და თანხმობა.

იმედი გვაქვს, რომ ამ მოხსენებაში წამოყენებულ წინადადებას მოჰყვება პრაკტიკული განხორციელება და ეს იქნება ერთი უდიდესი ეროვნული მიღწევათაგანი ამ ჩვენს დაქსაქსულ ემიგრაციაში.

ორიგანი

„ბამყრელიძის წერილის“ გარშემო.

2

ბ-ნ ვაკარის ჩვენებები.

გამყრელიძის წერილის გამოქვეყნებამ მრავალი საკითხი დააყენა ქართველი ემიგრაციის წინაშე. მათ შორის ჩვენ აქ შევეხებით მხოლოდ ორს, რომელთაც დიდ მნიშვნელობას ვაკუთვნებთ.

პირველი საკითხია: როგორ მოხდა, რომ რუსეთის ემიგრაციის უდიდესმა და უხუცესმა ორგანომ „პოსლედნია ნოვოსტი“-მ თავისი ფურცლები ასე თავაზიანად გადაუშალა მისთვის უცხო და უცნობი გამყრელიძის „ნაწარმოებს“ და არამც თუ დაბეჭდა, არამედ მას თავისი მეტისმეტად საპასუხისმგებლო ხასიათის წინასიტყვაობაც კი წაუმძღვარა.

ყველასათვის ცხადი იყო, რომ „პოსლ. ნოვ.“ ასეთ ნაბიჯს არ გადადგამდა, რომ მას წინასწარ არ მიიღო მის თვალში ნდობით აღჭურვილ პირთაგან ამ „წერილის“ შინაარსის დადასტურება და მისი უფრო ნომინალური, ვიდრე ფაკტიური ავტორის კეთილი დახასიათება.

აქედან გამომდინარეობს მეორე საკითხი: ვინ არიან ეს პირები?

ჩვენ ხელთა გვაქვს დღეს საგამომძიებლო კომისიის დოსიე. გადაჭრით შეგვიძლია ვსთქვათ, რომ აქ დაგროვილია დიდი და პირველხარისხოვანი მასალა ქართული ემიგრაციის პოლიტიკური ცხოვრების დასახასიათებლად. მართლაც, რომ საზარელი სურათი იშლება! დაგროვილი მასალა ნათლად გვიჩვენებს, თუ რა მძიმე შედეგები გამოულია რუსული მნშევიზმის ქართველ მოციქულთა „მოღვაწეობას“ ჩვენს ისედაც მძიმე სინამდვილეში.

მაგრამ დავანებოთ თავი ამ საერთო საკითხს და დავუბრუნდეთ ჩვენს ამოცანას.

საგამომძიებლო კომისიის დოსიეში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ბ-ნ ვაკარის ჩვენებები. უნდა აღვნიშნოთ, რომ ხსენებული პირი არის „პოსლ. ნოვ.“-ის თანამშრომელი, რომელმაც პირადათ მიიღო და დაბეჭდა „გამყრელიძის წერილი“. აქედან ადვილი წარმოსაუგენია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მის მიერ მოცემულ ცნობებს.

პირველი საკითხის შესახებ ბ-ნი ვაკარი იძლევა გარკვეულ პასუხს. თავის ჩვენებას ის იწყებს მოთხრობით, თუ როგორ მივიდნენ მასთან ერთ დღეს გამყრელიძე და ოდიშარია, მიუტანეს პირველის ხელ მოწერილი წერილი და სთხოვეს მისი დაბეჭდვა, და შემდეგ განაგრძობს:

„გამყრელძემ ჩემზე არა-სასურველი შთაბეჭდილება მოახდინა. ასეთივე შთაბეჭდილება მოახდინა მისმა წერილმა... მე მივიღე შთაბეჭდილება, რომ წერილის მიზანი იყო ანგარიშების გასწორება ერთი პოლიტიკური ჯგუფის მიერ მეორესთან. ამიტომ გამყრელიძის პიროვნებისა და ის წერილში მოთავსებული ფაკტებისა და ცნობების სისწორის გაოსარკვევად მე მივმართე ქართულ კომპეტენტურ წრეებს. ამ წრეებმა მომცეს გაყრელიძის შესახებ კეთილი ცნობები („ბლაგოპრიატნი ოტზივ“), დამიდასტურეს ზოგიერთი ფაკტები და, დასტოვეს რა მისი პასუხისმგებლობის ქვეშ დანარჩენ ცნობათა რიგი, არ უარჰყვეს მათი შესაძლებლობა. მხოლოდ ამის შემდეგ მე გადავწყვიტე მესარგებლნა მოცემული ხელნაწერით“.

„გამყრელიძის წერილი“-ო, განაგრძობს ციტატი ქვემოდ ბ-ნი ვაკარი, „მე მხოლოდ დავამუშავე ლიტერატურულად და დავტოვე მისი შინაარსი, რომლის შესახებ მივიღე კომპეტენტური წრეების პირდაპირი, თუ არა პირდაპირი დასტური“-ო.

მოყვანილი ციტატები იმდენად გარკვეული ხასიათისა არიან, რომ ზედმეტად ხდიან რაიმე განმარტებას. საჭიროა მხოლოდ აღვნიშნოთ:

რომ „კომპეტენტურ წრეებს“ ჯერ კიდევ გამოქვეყნებამდე სცოდნიათ „გაყრელიძის წერილის“ არსებობა, სცოდნიათ მისი შინაარსი და აგრეთვე ის გარემოებაც, რომ „წერილი“ უნდა დაიბეჭდოს;

რომ ამავე დროს, არამც თუ არ გადაუდგამთ არავითარი ნაბიჯი, რათა ეს არ მომხდარიყო, პირიქით, დაუდასტურაბიათ „წერილის“ შინაარსის სიმარლიანობა და მისი ხელისმომწერის კეთილადამიანობა.

და რომ ასეთი მოქმედებით მათ შეუქნიათ ის პირობა, ურომლისოთაც „წერილი“ არ გამოქვეყნდებოდა.

მაგრამ „კომპეტენტური წრეების“ ბოროტმოქმედება გამოიხატება არა მარტო ამაში. ისინი თვით გამოსულან აკტიურად ბ-ნ ვაკარის წინაშე ცილისმწამებელის როლში. ამის გასათვალისწინებლად საკმაო მასალას იძლევა „პოსლედნია ნოვოსტის“ სარედაქციო წინასიტყვაობა.

ყველამ ვიცით, რომ „გამყრელიძის წერილს“ არ ექმნებოდა არც ის მნიშვნელობა და არც ისეთი გამოძახილი, რომელიც მან მიიღო, რომ მას ეს წინასიტყვაობა არ ჰქონოდა. ამ წინასიტყვაობაში ნათქვამია, რომ გამყრელიძე „რეგულიარულად აწვდიდა ცნობებს ქართულ პოლიტიკურ ორგანიზაციებს ბოლშევიკების მოქმედების შესახებ“;

რომ ქართულ პოლიტიკურ პარტიათა გაერთიანებულ ცენტრის მიერ დაარსებულ კომისიას მოუხდენია სპეციალური გამოკვლევა და დაუდასტურებია, რომ გამყრელიძე შეკრული იყო გ. პ. უ.-ს აგენტებთან „ქართული პოლიტიკური ორგანიზაციის“ წინასწარი განდობით და რომ მან „თავისი რეგულიარული ინფორმაციით სამსახური გაუწია ქართულ ეროვნულ საქმეს“. ეს უკანასკნელი სიტყვები მოთავებული არის ბრჭყალებში თვით წინასიტყვაობაში.

იბადება კითხვები: ვინ მისცა რედაქციას ასეთი დაწვრილებითი და განსაკუთრებული ხასიათის ინფორმაცია და ვის ეკუთვნის ბრჭყალებში ჩასმული სიტყვები?

ამ კითხვებზე ბ-ნი ვაკარი იძლევა პირდაპირ პასუხს:

„მისი შესავალი (ე. ი. წერილის წინასიტყვაობა) შედგენილია ჩემ მიერ და გამყრელიძის წერილისა და კომპეტენტურ წრეებთან ბაასის მიხედვით. იქ ლაპარაკია პროვოკატორების შესახებ, მაგრამ დასახელებულია მხოლოდ ერთი გეგელია და არ არიან დასახელებული X და Z *), რომელთა გვარებიც არის მოთავსებული გამყრელიძის ხელნაწერში. ეს მიტომ, რომ კომპეტენტურმა წრეებმა განმიცხადეს, რომ მათი საკუთარი ცნობების მიხედვით გეგელია არის პროვოკატორი და რომ ე გარემოება საყოველთაოდ ცნობილი ფაკტია, X და Z-ის შესახებ კი *) ასეთი განცხადება არ გააკეთეს. შესავალში არი ბრჭყალებში მოთავსებული სიტყვები. ეს სიტყვები მიკარნახეს მე კომპეტენტურმა წრეებმა და მეც ჩავიწერე სიტყვა სიტყვით მათი თანადასწრებით. ამიტომაც არიან მოთავსებული ბრჭყალებში“.

---

*) აქ ბ-ნ ვაკარს ორი სხვა პიროვნება ჰყავს დასახელებული (კ—.)

* განმეორებულია ამ ორი პიროვნების სახელი და გვარი. (კ—ი.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

დება მისი საბოლოო კაპიტულიაცია ბურჟუაზიული ქვეყნიერების წინაშე.

ეს მისი ახალი ორიენტაცია და კავშირები არ აუქმებენ და ვერ გააუქმებენ იმ ძალთა იმპანენტურ მოქმედებას, რომელიც იწვევს რუსეთ-იაპონიის კონფლიკტს. თუ ეს კონფლიკტი მოხდა, საბჭოთა კავშირი მარტო დარჩება, როგორც დარჩა რომანოვების რუსეთი ამ ოც და ათი წლის წინად იმავე იაპონიასთან ომის დროს.

და ასეთ პირობებში, რასაკვირველია, საეჭვო არ არის, რომ საბჭოთა კავშირი განადგურებული იქნება პირველისავე შეტაკების დროს. სულის წაწყმედას მისი ხორციელი სიკვდილიც მოჰყვება. ამის მოლოდინში ჩვენ ვუცდით მოვლენათა განვითარებას.

გარედანი

ემიგრაციაში

ჟურნალი „კავკაზ"-ი

ამა წლის იანვრიდან პარიზში გამოდის რუსულს ენაზედ ყოველთვიური ჟურნალი „კავკაზი". ეს ორგანო ეკუთვნის მთიელთა იმ ნაციონალურად მოაზროვნე და მომქმედ წრეს, რომელსაც სათავეში უდგას ბ-ნი ჰაიდარ ბამატი, ჟურნალის რედაქტორი. „კავკაზი" დგას უაღრესად ეროვნული იდეოლოგიის თვალსაზრისზე, იცავს კავკასის დამოუკიდებლობას და მის კონფედერატიულ სახელმწიფოებრივ ფორმას. ჟურნალი იმიჯნება და უპირდაპირდება იმ თანამემამულეებს, რომლებიც ერთ საერთო ფრონტში დგანან ქართველ მენშევიკებთან და მათ მოკავშირე ჯგუფებთან და ერთად თანამშრომლობენ ე. წ. „კავკასიის დამოუკიდებლობის კომიტეტის" სახით. „კავკაზ"-ში ბეჭდავენ თავიანთ წერილებს აგრეთვე ადერბეიჯანელები და ჩვენი თანამემამულენიც — ბბ. მ. წერეთელი, ტ. მარგველაშვილი, შ. ამირაჯიბი, გ. კვინიტაძე და სპ. კედია.

ბ-ნ რევაზ გაბაშვილის მოხსენება

უკანასკნელ დროს პარიზის ქართულ კოლონიაში წაკითხულ იქმნა რამოდენიმე მოხსენება, რამაც ერთგვარი სიცხოველე შეიტანა ჩვენს ერთფეროვან ცხოვრებაში. ამ მოხსენებათა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ბ-ნ რევაზ გაბაშვილის მოხსენება, რომელიც ეხება 1921 წლის საქართველო-რუსეთის ომს.

ბ-ნ გაბაშვილს თავისი მოხსენება ორ ნაწილად გაუყვია. პირველი, უკვე წაკითხული ნაწილი, ეხებოდა დამოუკიდებლობის და რუსეთთან ომის მოსამზადებელ ხანას. ხოლო მეორე ნაწილი, რომელიც მომავალში უნდა წაიკითხოს, შეეხება უშუალოდ თვით 1921 წლის ომს.

როგორც ვიცით, ბ-ნი გაბაშვილი დიდი ხანია თანამშრომლობს სწორედ იმ წრესთან, რომელიც პასუხისმგებელი არის 1921 წ. საქართველოს დამარცხებისა და ეს გარემოება წინასწარ იჭვს ბადებდა, რომ მომხსენებელს გაუჭირდებოდა ობიეკტიურობა. მაგრამ ბ-ნმა გაბაშვილმა ეს იჭვები არ გაამართლა და სრულიად მიუდგომლად დაასურათა მაშინდელი მდგომარეობა და აღნუსხა მთელი რიგი ფაკტებისა, რომელნიც ააშკარავებენ საქართველოს მმართველთა სრულს უვიცობას, როგორც სახელმწიფოს შინაგანი აღმშენებლობის, ისე მისი გარეშე მტრებისაგან დაცვის საქმეში.

ქაქუცას საფლავზე

ჩვენი წრისა და შეფიცულთა თაოსნობით ამ სამი წლის წინად, 26 მაისს, მოხდა ქართელი საზოგადოების თავმოყრა ჩვენი ეროვნული გმირის ქაქუცას საფლავზე. მაშინ წარმოთქმულ მგრძნობიარე სიტყვებში ბ-ნ სპ. კედიამ და ბ-ნ გ. კვინიტაძემ მოუწოდეს საზოგადოებას ყოველ 26 მაისს თავი მოიყაროს დამოუკიდებლობისათვის საუკეთესო მებრძოლის საფლავზე. ეს მოწოდება კეთილად იქმნა მოსმენილი და მას შემდეგ ყოველწლიურად, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, ქართველი საზოგადოება თავს იყრის ამ ადგილას. ამა წლის 26-ს მაისსაც საფლავი დიდძალმა ქართველობამ ინახულა. სიტყა წარმოსთქვა ბ-ნმა ალ. ასათიანმა.

არჩილ ჯორჯაძის ხსოვნის დღე

არჩილ ჯორჯაძის გარდაცვალებიდან ოცი წლის თავის აღსანიშნავად პარიზში მყოფ სოც.-ფედერალისტთა წრემ მოაწყო საზოგადო კრება. დაესწრენ ყველა წრის წარმომადგენლები. მოხსენებები წაიკითხეს ბბ: ს ფირცხალავამ, დ ხარისჭირაშვილმა და ალ შათირიშვილმა.

26 მაისი

პარიზის ქართველთა ასოციაციის გამგეობამ 26 მაისის აღსანიშნავად სენკლუში გამართა საღამო, რომელსაც მრავალი საზოგადოება დაესწრო საღამო კარგად ჩატარდა.

ქართული ბალი

5 მაისს, საფ. მყოფ ქართველ სტუდენტთა ასოციაციამ ქალბატონ მარიამ კვინიტაძისა და ქბ. კოკეს ხელმძღანელობით გამართა კონცერტი-ბალი, რომელიც სინე-წარმოება გომონმა გადაიღო ეკრანზე დ ნაჩვენები იქმნა პარიზის სინემებში.

ქართველ ინჟინერთა ასოციაცია პარიზში

6 მაისს პარიზში შესდგა ქართველ ინჟინერთა და ტეხნიკოსთა საზოგადო კრება. ბ-მა იოსებ გობეჩიამ დამსწრე საზოგადოებას მოახსენა კრების მოწვევის მიზანი. ამ საგანზე აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ ყრილობამ თავისი თავი გამოაცხადა დამაარსებლად „ქართველ ინჟინერთა ასოციაციისა პარიზში". ასზციაცია მიზნად ისახავს ა) შეაკავშიროს პროფესიულ ინტერესთა დაცვა-შემოქმედობის ნიადაგზე უცხოეთში მყოფი ქართველი ინჟინრები და ის პირნი ვინც საზოგადო ტეხნიკურ რამ პროფესიას მისდევენ.

ბ) შეისწავლოს სხვა და სხვა სამეცნიერო და პრაკტიკულ-ტეხნიკური კითხვები.

გ) აცოდინოს თავის წევრებს საქართველოს ტეხნიკურ-ინდუსტრიალური ცხოვრების ვითარება.

დ) შეისწავლოს საქართველოს საინდუსტრიო განვითარებისა და მის ბუნებრივ სიმდიდრეთა ექსპლოატაციის შესაძლებლობანი.

ე) მიეშველოს თავის წევრებს სამუშაოს შოვნაში.

ვ) გამოსცეს ტეხნიკურ-პერიოდული ორგანო და

ზ) დაუახლოვდეს და ურთიერთობაში შევიდეს სხვა და სხვა უცხოეთის მზგავს საზოგადოებებთან.

კრებამ აირჩია სამ - წევრიანი გამგეობა ორი კანდიდატი და ორი წევრი კონტროლისა და რევიზიისათვის. გამგეობის თავჯდომარედ არის ბ-ნი ი. გობეჩია, მდივნად ბ-ნი არჩილ ზურაბიშვილი, მოლარედ ბ-ნი აპ. კობახიძე. კანდიდატებად: ბბ. გ. ნოზაძე და კ. ჟურული. რევიზორებად: ბბ. ს. ციციშვილი და ტ. წულაძე. გამგეობას დაევალა მოაწყოს საინფორმაციო და რჩევის მომცემი ბიურო იმ ახალგაზრდებისათვის, რომელთაც სურთ საინჟინერო და სატეხნიკო დარგში სწავლა-განათლების მიღება. დაბოლოს, კრებამ სთხოვა ბ-ნ იოსებ დადიანს, როგორც ასოციაციის უხუცეს წევრს, გააკეთოს პირველი მოხსენება ასოციაციისა და მის სტუმართა საზოგადო კრებაზე. გამგეობას დაევალა ასოციაციის სტატუტის რეგისტრაციაში გატარება და ბ. ი. დადიანის მოხსენების მოწყობა ამ მოკლე ხანში.

ქართული დრ. დასი პარიზში

პარიზში არსებული დრამატიული დასის მიერ ამ ახლო მომავალში წარმოდგენილი იქნება ბ-ნ შ. ნებიერიძის რეჟისორობით დ. ერისთავის პიესა: „სამშობლო"

აქედან გამომდინარეობს:

რომ პასუხისმგებლობა გეგელიას პროვოკატორად გამოცხადებაში გამყრელიძის გარდა ედება „კომპეტენტურ წრეებს", რომელთაც თვითონ და „გამყრელიძის წერილისაგან" განცალკევებულად დაუდვიათ მისთვის ასეთი ბრალი ვაკარის წინაშე და თანაც ყალბი არგუმენტაციით დაუჯერებიათ ეს ადამიანი ბრალდებს სამართლიანობაში;

და რომ „კომპეტენტურ წრეებს" მიუციათ ბ-ნ ვაკარისათვის ჯაშუშ გამყრელიძის შესახებ ისეთი ცნობები, რომლებიც არამც თუ ჰხსნიან, თუ რატომ დაბეჭდა „პოსლედ. ნოვოსტიმ" „გამყრელიძის წერილი", არამედ ძალზე ამსუბუქებს მის დანაშაულს.

მოყვანილი მასალა ჩვენ მიგვაჩნია საკმარისად, რომ გამოვიტანოთ შემდეგი ურყეველი დასკვნა: ეგრედ წოდებულ გამყრელიძი წერილში მოთავსებულ ყალბ ცნობათა და ცილისწამებათა შეთხზვაში და თვით წერლის გამოქვეყნებაში მთავარი ბრალდებულის როლი ეკუთვნის იმ პირთ, ვისაც ბ-ნი ვაკარი უწოდებს „კომპეტენტური წრეების" **სახელს.**

გადავიდეთ მეორე საკითხზე: ვინ არიან ეს პირები?

როგორც სჩანს საგამომძიებლო კომისიას პირდაპირ დაუსვამ ეს კითხვა ბ-ნი ვაკარისათვის. აი მისი პასუხი:

„როგორც წინადაც გითხარით, გამყრელიძის წერილის სარედაქციო წინასიტყვაობაში ბრჭყალებში ჩასმული სიტყვები მე მიკარნახეს და მეც ისინი ჩავიწერე მკარნახებელის თანადასწრებით. ჩვენი, ჟურნალისტების ეთიკა არ მაძლევს საშუალებას დაარ შემიძლია დავასახელო ის პირები, რომასახელო ეს პირი. ამავე მიზეზის გამო მელთაც ვუწოდებ „კომპეტენტურ წრეების" სახელს. შემიძლიან მხოლოდ გითხრათ, რომ ორივე პიროვნება, რომელთაც მე ვხვდებოდი გამყრელიძის შესახებ „ოტზივისა" და მისი წერილი შინაარსის შესახებ ცნობების მისაღებად, არიან სავსებით კომპეტენტური და ავტორიტეტული ქართულ ემიგრაციაში არა მარტო , ვთქვათ, რუსული თვალსაზრისით, არამედ ყველა ქართულ დაჯგუფებათა თვალსაზრისითაც".

ამ სიტყვებიდან სჩანს, რომ ბ-ნი ვაკარი ხვდებოდა ქართულ ემიგრაციაში პოლიტიკურად ძალიან ცნობილ ადამიანებს. ამათ გვარსა და სახელს ის არ ამბობს, მაგრამ ამავე დროს იძლევა გარკვეულ და მეტისმეტად დამახასიათებელ ცნობებს. ეჭვს გარეშე უნდა ჩაითვალოს, რომ ეს პირები ეკუთვნიან იმ ვიწრო წრეს, რომელსაც უკავია უმაღლესი ადგილი ჩვენს პოლიტიკურ იერარქიაში, ე. ი. ე. წ. „პოლიტიკურ ცენტრს", რომელსაც კიდევ უწოდებენ „საერთო ფრონტს" და „გაერთიანებულ ცენტრს".

რომ ხსენებული პირები უნდა ვეძებოთ სწორედ აქ, ამას გვეუბნება თვით ბ-ნი ვაკარიც:

„საერთოდ ჩემი ცნობები მე არ ამიღია „კონდაჩკიდან". დავუახლოვდი რა ამ საქმეს, მე გამოვარკვიე, რომ ქართულ ემიგრაციას აქვს პოლიტიკური ცენტრი, რომლის სათავეში სდგას ჟორდანია და რომელშიაც შედიან ყველა პარტიათა წარმომადგენლები, — სოციალდემოკრატებისა, სოც.-რევოლუციონერებისა, სოც.-ფედერალისტებისა, გვაზავასი და ასათიანის ჯგუფთა ნაც.-დემოკრატებისა და რომ მხოლოდ კედიას ჯგუფი იმყოფება ამ ცენტრის გარეშე. მე ვსთვლი, რომ მასალები გეგელიას პროვოკატორობის დასამტკიცებლად და საერთოდ გამყრელიძის წერილის შინაარის შესახებ თქვენ კომისიას (ე. ი. საგამომძიებლო კომისიას (კ—ი) შეუძლია მიიღოს ამ ცენტრისაგან და ამ საქმის გამო თავის დროზე მასთან დაარსებულ კომისიისაგან".

მეორე ჩვენებაში ბ-ნი ვაკარი კიდევ უფრო ავიწროებს იმ რკალს, რომელშიაც უნდა ვეძებოთ მისი ინფორმატორები.

„თქვენ დამისახელეთ გვარები თქვენ მიერ დაკითხული ხუთი წევრისა, რომლებიც შედიოდენ გაერთიანებულ ცენტრის მიერ თავის შემადგენლობიდან გამყრელიძის საქმის გამოსაძიებლად დანიშნულ ორ კომისიაში. ესენი არიან: გვარჯალაძე, ქავთარაძე, ასათიანი, გაბაშვილი და ზურაბიშვილი. ის ორი პიროვნება, რომელთა შესახებ მე ზემოდ ვლაპარაკობ (ე. ი. მისი ინფორმატორები. კ—ი), არ არიან ამათ შორის. მაგრამ კომისიები ხომ დანიშნული იყვნენ გაერთიანებული ცენტრის მიერ. რატომ თქვენ არ დაჰკითხეთ მისი, გაერთიანებული ცენტრის, ხელმძღვანელები, რომლებსაც, ეჭვს გარეშეა, კომისიები უდგენდენ თავიანთ ანგარიშს".

ამ სიტყვების შემდეგ ჩვენ არ შეგვიძლია დამტკიცებულად არ ჩავთვალოთ, რომ ბ-ნ ვაკარის ინფორმატორები და „პოლიტიკური" თუ „გაერთიანებული ცენტრის" ხელმძღვანელები ერთი და იგივე პირები არიან.

ყველამ კარგად ვიცით, ვისგან შესდგება „გაერთიანებული ცენტრი", ეს ჩვენი ცხოვრების მოსაწამლავად აშენებული მხოხავთა საბუდარი, მის ხელმძღვანელებსაც ვიცნობთ დიდი ხანია...

უკვე ყოველისფერი თქმულია და გარკვეული... მაგრამ თითქოს იმისათვის, რომ შეიმსუბუქოს სინიდისის ქეჯნა და გამოიყიდოს თავისი მონაწილეობა ამ საზიზღარ საქმეში ბ-ნი ვაკარი განაგრძობს:

„მე გამოგიგზავნეთ თქვენ წერილი, რომელსაც მიიღებთ. კომპეტენტურ წრეებთან ჩემი მოლაპარაკების შედეგების შესახებ შემიძლია გაცნობოთ, რომ, როგორც გამოირკვა, ორივე პირი, რომლებთანაც მე მინდოდა მოლაპარაკება, იმყოფებიან ვაკანსებზე პარიზის გარედ. ერთი მათგანი ჩამოვა 16 სეკტემბერს, მეორე კი — არ არის გამორკვეული სახელდობრ როდის, მაგრამ დაახლოვებით ამავე რიცხვის ახლოს. ყოველ შემთხვევაში 17-18-ზე ადრე მე არ შემეძლება მათთან მოლაპარაკება. ამიტომ შემიძლია ვიქონიო იმედი, რომ მოლაპარაკების შედეგებს შეგატყობინებთ 18-20-ში".

ეს გახლავთ ბ-ნ ვაკარისა და საგამომძიებლო კომისიის წევრის ბ-ნ ცხაკაიას შორის მომხდარი ლაპარაკიდან ამოღებული სიტყვები. ლაპარაკის ოქმი დათარიღებულია წარსული წლის 5 ენკენისთვით და ხელმოწერილია ორთავეს მიერ.

ჩვენ ვიცით ვინ არიან ის პირები, რიცხვით ორი, რომლებიც ამ დროს გასული იყვნენ საგარაკოდ და იმყოფებოდნენ პარიზის გარედ, ვიცით აგრეთვე, რომელი მათგანი დაბრუნდა პარიზში 15 სეკტემბერს საღამოთი და გამოცხადდა თავის „სამმართველოში" 16 სეკტემბერს, და რომელი კიდევ დაბრუნდა „ამავე რიცხვის ახლო დღეებში", და ამნაირად ორივემ გაამართლეს ვაკარის მიერ მათი ჩამოსვლის შესახებ სანდო წყაროდან, — ჩვენ ისიც ვიცით, თუ საიდან, — მიღებული ცნობები.

მაგრამ ჯერჯერობით არ ვასახელებთ მათ.

კალამი.

Gérante : L. SAINT-REMY.

Imprimerie « PASCAL », 13, rue Pascal, PARIS (5e)